მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №3

ქ. მარტვილი 11 აპრილი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12^{00} სთ-ზე დამთავრდა 13^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ელიზბარ ახვლედიანი, ირინა გადელია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია, დათო ხელაია.
სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ახვლედიანი.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1.მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ 41.14.35.253 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ: 41.07.32.630 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ახვლედიანის მოხსენება, მარტვილის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ 41.14.35.253 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა სოფელ სალხინოს სკოლა გიმნაზიის მოპირდაპირედ მდებარე მიწის ნაკვეთის სახელმწიფოზე გადაცემას შემდგომში ამბულატორიის ფუნქციონირების მიზნით.
აზრი გამოთქვეს: მაია გაწერელიამ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, .მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ 41.14.35.253 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7 წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას .მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ 41.14.35.253 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მე–2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.
მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ახვლედიანის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ: 41.07.32.630 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა ნაგვაზაოში მდებარე მიწის ნაკვეთის სახელმწიფოზე გადაცემას შემდგომში ამბულატორიის ფუნქციონირების მიზნით.
აზრი გამოთქვეს: ირინა გადელიამ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება წარმოდგენილ განკარგულების პროექტს რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ: 41.07.32.630 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7 წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ: 41.07.32.630 სახელმწიფოს საკუთრებაში

უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ელიზბარ ახვლედიანი